იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული სამი პროექტის ხელმოწერის საზეიმო ცერემონია

ახალციხეში გინეკოლოგიური კლინიკისა და სკრინინგ-ცენტრის სამედიცინო აპარატურით უზრუნველყოფის პროექტი

2016 წლის 10 მარტს საგრანტო ხელშეკრულებას ზემოხსენებულ პროექტზე ხელი მოაწერეს იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბატონმა ტოშიო კაიტანიმ და დემოკრატ ქალთა ორგანიზაციის დირექტორმა ქალბატონმა მარინა მოდებაძემ. ამ პროექტისთვის იაპონიის მთავრობის გრანტის მოცულობა შეადგენს 89 242 აშშ დოლარს.



გარდაბნის, საგარეჯოსა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან ტერიტორიის გაწმენდის და განაღმვის პროექტი

2016 წლის 10 მარტს საგრანტო ხელშეკრულებას ზემოხსენებულ პროექტზე ხელი მოაწერეს იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბატონმა ტოშიო კაიტანიმ და ჰალო ტრასტის პროგრამის მენეჯერმა ირაკლი ჭითანავამ. ამ პროექტისთვის იაპონიის მთავრობის გრანტის მოცულობა შეადგენს 636 000 აშშ დოლარს.





სოფელ გრემში სასმელი წყლის ჭების მოწყობის პროექტი

2016 წლის 10 მარტს საგრანტო ხელშეკრულებას ზემოხსენებულ პროექტზე ხელი მოაწერეს იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბატონმა ტოშიო კაიტანიმ და საქველმოქმედო კავშირი თემის პრეზიდენტმა ნიკოლოზ კვაშალმა. ამ პროექტისთვის იაპონიის მთავრობის გრანტის მოცულობა შეადგენს 71 729 აშშ დოლარს.